

ნათია ნაცვლიშვილი
კორნელი კეპელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
კოდიკოლოგისა და ტექსტოლოგიის დეპარტამენტის
მეცნიერთანამშრომელი
თბილისი, საქართველო

თეოფანე კესარია-კაპადუკიელის სწავლანის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი

თეზისები: კესარია-კაპადუკიელის მთავარეპისკოპოს თეოფანეს სწავლანი დაცულია კორნელი კეპელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

მონაცემები თხზულების ავტორის შესახებ თითქმის არ მოგვეპოვება და რაც ვიცით, ყველაფერი მისი ნაშრომიდანაა ცნობილი. ბერძნულში არ იძებნება სწავლანის ორიგინალი, ამდენად, თარგმანს დედნის ფუნქცია ენიჭება.

ორიგინალის გარეშე თარგმანის ხარისხის სრულად შეფასება ვერ ხერხდება. ასეთ დროს საუბარი შესაძლებელია მხოლოდ ნათარგმნ ტექსტზე, თუ რამდენად კარგად არის ის გადმოქართულებული. განსაკუთრებულია და გადამწყვეტიც კი მთარგმნელის პროფესიონალიზმი და მხატვრული გემოვნება, რაც უტყუარად აისახება თარგმანში, განურჩევლად იმისა, რა სფეროს განეკუთვნება სათარგმნი მასალა. რაც უფრო მრავალმხრივი და დახელოვნებულია მთარგმნელი, მით მეტია გარანტია, რომ დედანი მკითხველამდე ნაკლები „დანაკარგით“ მივა. ჩვენს შემთხვევაში ასეთი ვარიანტი თავად ეფთვიმე ათონელია.

არსებობს საინტერესო ტენდენცია – მთარგმნელი ხშირად მიმართავს მის მშობლიურ ენაში არსებულ ნათარგმნი ან ორიგინალური თხზულებებიდან ციტირებას და მოიხმობს მხოლოდ მისი ენისთვის დამახასიათებელ ხატოვან სიტყვათქმებს, ანდაზებს, იდიომებსა თუ გამოსახვის სხვა მხატვრულ საშუალებებს, რითაც იგი ნათარგმნ თხზულებას შეძლებისდაგვარად აახლოვებს მშობლიურ ენასთან. ამის

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

გათვალისწინებით კი შესაძლოა მთარგმნელის წარმოშობა, მისი საცხოვრებელი გარემო და არეალი დადგინდეს.

საკვანძო სიტყვები: თეოფანე, სწავლანი, თარგმანი, ეფთვიმე, ათონელი

Abstract: *Teachings* by Theophanes, Archbishop of Caesarea-Kappadokia is preserved at Korneli Kekelidze National Center of Manuscripts of Georgia.

There are almost no data about the author and all we know are only from his work. No original of the *Teachings* was found in Greek and therefore, the translation has the function of original.

Without original text the translation quality cannot be fully assessed. In such cases only the translated text can be regarded, among them, how well it is formulated in Georgia. Professionalism and creative taste of the translator is decisive, this can be undoubtedly seen in the text, irrespective of the sphere of translated material. Greater are the translator's range and skills, greater is the guarantee that the original is delivered to the readers with less "losses". In our case such guarantee is Euthymius the Athlonite himself.

There is an interesting trend – the translator frequently provides the quotations from the translated or original works that exist in his native language and uses the figurative expressions, proverbs, idioms and other creative means characteristic of only his native language, thus making the translated text as close to his language as possible. Thus, the origin of the translator along with the living environment can be clarified and examined.

Keywords: Theophanes, Teachings, translation, Euthymius, Athonite

მსოფლიო ცივილიზაცია ქართული მწერლობის გარეშე ვერ იქნებოდა სრულყოფილი, რადგან ვერ მოხერხდებოდა საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების სრულად შესწავლა. საბედნიეროდ, ქართული ლიტერატურა თავისი ისტორიის მანძილზე არასოდეს ყოფილა იზოლირებული მსოფლიო კულტურისგან და უძველესი თხზულებების თარგმნა, როგორც ქართულიდან, ისე უცხოურიდან, საკმაოდ ადრე დაწყებულა. ამას ადასტურებს პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლები – მეხუთე-მეშვიდე საუკუნეების პალიმფსესტები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან შემორჩენილი

ფრაგმენტებით და შუშანიკის წამება, სადაც დაცულია უტყუარი ცნობები, რომ ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში ქართულ ენაზე ნათარგმნი ყოფილა სახარება, ფსალმუნი და მოწამეთა წიგნები.

სტატიაში „მთარგმნელის ოსტატობისათვის“ კონსტანტინე გამსახურდია წერს:

თარგმნის ხელოვნება მწერლობის მომიჯნე სფეროა. ყოველ დროში ამ საქმეს აწარმოებდნენ თავად მწერლები, დიდზე დიდი კორიფენი სიტყვისა, ან არადა მაღალგანსწავლული მეცნიერები, რომელთაც პოეტური ნიჭი მოსდგამთ. მთარგმნელი ის გამრჯე ფუტკარი იყო, რომელსაც სხვადასხვა ენებსა და ერებს შორის მიმოჰკონდა მადლიანი სურნელება და ანაყოფიერებდა ამა თუ იმ ნაციონალურ კულტურას. (410)

მართლაც, ქართველი მოღვაწეები უძველესი დროიდან თარგმნიდნენ სასულიერო თუ საერო ლიტერატურას ბერძნულიდან, ებრაულიდან, სომხურიდან, არაბულიდან, სპარსულიდან, სირიულიდან, კოპტურიდან და სხვა ენებიდან. მათი თარგმნის სტილი ზედმიწევნით გამოხატავდა ქართულ ხასიათს, რომელსაც ვერაფერი დააკლო უცხო ტომებთან ომებმა თუ გამუდმებით იმაზე ფიქრმა, თუ ვინ, როდის და საიდან შემოუტევდა მათ სამშობლოს. სწორედ ეს ხასიათის სილალე და თავისუფლების სიყვარული ამჩნევია თარგმანსაც, რომელიც ხშირად სულაც არ იყო ზედმიწევნითი. უფრო მეტიც, კორნელი კეკელიძის თქმით, მთარგმნელები ზოგჯერ ორიგინალი ტექსტის შეცვლასაც კი არ ერიდებოდნენ, თუ სათარგმნი თხზულების „ესა თუ ის უბერხული მაგალითი ქართველ მკითხველზე არასასიმოვნო შთაბეჭდილებას მოახდენდა, ანდა მის ზნეობრივს შეგნებას შელახავდა“ (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან 189).

ცალკე განსახილველია მთარგმნელთა მიერ ტექსტთან დაკავშირებული და ტექსტთანვე (სქოლიოებსა თუ წიგნის არშიებზე) ჩანიშნული განმარტებები. ისინი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ორიგინალურ, სრულყოფილ თეოლოგიურ ნაშრომებად, რომელთა ავტორებიც ხსენებული მთარგმნელები არიან.

რთული არ არის განისაზღვროს ერის ინტერესები, გემოვნება და პოტენციალი იმის მიხედვით, თუ არსებობის სხვადასხვა ეტაპზე რას თარგმნის ის. ამ მხრივ განსაკუთრებულია ქართულ-ბერძნული ურთიერთობები.

ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დამდეგს გერმანელმა ისტორიკოსმა ა. ჰარნაკმა აღნიშნა: „უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც; გამოჩნდებიან კი ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შეძლებენ შეისწავლონ ენა,

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა... და ახლო გაგვაცნონ მისი საუნჯე?“ (კეკელიძე, *op. cit.* 183).

კორნელი კეკელიძეს არ აკვირვებდა უცხოელების დაინტერესება ქართული ლიტერატურით, რადგან „ქართულ ენაზე შემონახულა [...] საკმაო დიდი რაოდენობით ისეთი ლიტერატურული ძეგლები, რომელნიც ქართულ ლიტერატურაში მთარგმნელობის გზით შემოსულან. ასეთ ძეგლთა შორის ზოგიერთი ისეთია, რომელთა დედანი საუკუნეთა განმავლობაში დაკარგულა და საძიებელი გამხდარა“. იგი ასე მიიჩნევდა: იმიტომ არიან დაინტერესებულნი მეცნიერები „ქართული ლიტერატურით, რომ ქართული თარგმანებით უნდათ მათ აღდგენა მსოფლიო ლიტერატურის დაკარგული ძეგლებისა“ (*Ibid.* 184).

საქართველოში ორმხრივი მთარგმნელობითი პროცესი მისი დაწყებიდან დღემდე უწყვეტია, რადგან გარდა იმისა, რომ საინტერესო და სასარგებლოა, საკაცობრიოდ მნიშვნელოვანიცაა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზებოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში, ისინი გამოწვეულნი არიან იმ სოციალური თუ კულტურულ-ისტორიული მოთხოვნილებებით, რომელთაც აყენებს აზროვნების ადგილობრივი მიმდინარეობა“ (*Ibid.* 185).

თუ პირველი თარგმანები საეკლესიო მსახურებისთვის იყო განკუთვნილი, შემდგომ უკვე ნელ-ნელა შეერია საერო ძეგლებიც.

„სული სულს იცნობსო“ – ამბობს ქართული ანდაზა და ქართველი სწავლულებიც ისეთი ენებიდან და ისეთ თხზულებებს თარგმნიდნენ, რომლებიც ესადაგებოდა და ესაჭიროებოდა ერის სულს. სწორედ ასეთია კესარია-კაპადიუკის მთავარეპისკოპოს თეოფანეს სწავლანი, რომელიც ეფთვიმე ათონელს ბერძნულიდან უთარგმნია 1047 წელს. ცნობა ამის შესახებ შემონახულია ხელნაწერზე დართული ანდერძით: „მე, გლახაკმან ე ფ თ ვ მ ე, ვთარგმნე. აწ, ვინცა იკითხვდეთ, ლოცვა ყავთ ჩემთვა...“ (A 1101, 248 r.).

თხზულება ჩვენამდე მოლწეულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი ხელნაწერით – A 1101 და H 2853.

ხელნაწერი კრებული A 1101 ცნობილია ასკეტიკონის სახელით და თარიღდება 1047 წლით. გადაუწერია არსენი გოგოვას საბერძნეთში, მთაწმიდის ღმრთისმშობლის სახელობის მონასტერში, მომგებლად იხსენიება არსენი.

აღნიშნული ხელნაწერი ჩასმულია ხის მაგარ ყდაში, რომელიც შემოსილია ყავისფერი ტყავით, ფურცლებად გამოყენებულია ეტრატი. შესრულებულია დახვეწილი, კუთხოვანი ნუსხურით. სათაურები, აბზაცები და ყურადღებაგასამახვილებელი ადგილები კი

– მრგლოვანით, წითელი მელნით, სინგურით. ასკეტიკონში შესულია თხზულებები ისეთი დიდი საეკლესიო მამებისა, როგორებიც არიან: გრიგოლი ღვთისმეტყველი, ბასილი დიდი, ისაავ ასური, მაქსიმე ალმსარებელი, ანდრია კრეტელი და სხვ.

მეორე ხელნაწერი, H 2853, არის თეოლოგიური ხასიათის კრებული, დათარიღებული XVIII საუკუნით. მასში თავმოყრილია ასევე დიდი წმინდანების სწავლანი, სიტყვანი, ეპისტოლები, სათვეო საკითხავები, ქადაგებები და სხვა. ხელნაწერი არის საკმაოდ დაზიანებული – დაშლილია და არც ყდა აქვს. დაწერილია ქაღალდზე ნუსხურითა და მხედრულით, სათაურები და აბზაცები – სინგურით. შიგადაშიგ აკლია ფურცლები.

კორნელი კეკელიძისთვის ცნობილი არ იყო სწავლანის ავტორის ვინაობა. ეტიუდების V ტომში, სადაც მოცემულია ვრცელი ინფორმაცია ქართულად ნათარგმნი ლიტერატურის შესახებ, თეოფანეზე მხოლოდ მწირი ინფორმაციაა მითითებული. სხვა მონაცემები თხზულების ავტორის შესახებ დღესაც არ მოგვეპოვება და რაც ვიცით, ყველაფერი მისი ნაშრომიდანაა ცნობილი. ბერძნულში არ იძებნება სწავლანის ორიგინალი და, ამდენად, ჩვენს ხელთ არსებულ ქართულ თარგმანს დედნის ფუნქცია ენიჭება.

ცხადია, ორიგინალის გარეშე თარგმანის ხარისხის სრულად შეფასება ვერ მოხერხდება. ასეთ დროს საუბარი შესაძლებელია მხოლოდ ნათარგმნ ტექსტზე, თუ რამდენად კარგად არის ის გამართული და გადმოქართულებული. განსაკუთრებულია და გადამწყვეტიც კი მთარგმნელის პროფესიონალიზმი და მხატვრული გემოვნება, რაც უტყუარად აისახება თარგმანში, განურჩევლად იმისა, რა სფეროს განეკუთვნება სათარგმნი მასალა. რაც უფრო დახელოვნებულია მთარგმნელი, მით მეტია ალბათობა, რომ დედანი მკითხველამდე ნაკლები დანაკარგით მივა. ჩვენს შემთხვევაში ამის გარანტი თავად ეფთვიმე ათონელია, რომლის ღვაწლის საჩვენებლად საკმარისია გავიხსენოთ, რომ იგი „წმინდანად შერაცხა არა მხოლოდ ქართულმა ეროვნულმა ეკლესიამ, არამედ ბერძნულმაც“ (ქართული მწერლობა 107).

ცნობილია, რომ ეფთვიმე ათონელი თავადაც წერდა ორიგინალურ ნაწარმოებებს ბერძნულადაც და ქართულადაც (შემორჩენილია მისი ერთი ლოცვა ქართულ ენაზე) (*Ibid.*). ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისთვის, რომ მთარგმნელი უფრო მეტი სიფრთხილით მოეკიდოს სათარგმნ მასალას და შედგეს სრული თანაშემოქმედება თხზულების ავტორთან. თუმცა, არსებობს „საფრთხეც“ – თუ მთარგმნელი ტექსტის ავტორზე ნიჭიერია, შესაძლოა, თარგმანი ორიგინალზე უკეთესი და აღმატებულიც კი გამოვიდეს. ამას ემატება ისიც, თუ რამდენად

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

გამოცდილია მთარგმნელი. ამ მხრივაც საუკეთესო შემთხვევაა – ეფთვიმე ათონელის მიერ გადმოქართულებულ თხზულებათა რიცხვი ასამდე აღწევს. თუმცა „ჩვენ ვერ ვიპოვით მის თარგმანთა შორის ვერც ერთს ისეთს, რომელშიაც დედანი გადმოღებული იყოს ისე, როგორც ის მისი ავტორის ხელიდან გამოსულა“ (კეკელიძე, *op. cit.* 188). ეს კი, თავის მხრივ, იძლეოდა საინტერესო შედეგს – ვიღებდით სათარგმნი თხზულების სრულიად სხვა, ახალ რედაქციას. საბოლოოდ კი, „თარგმნითი ხელოვნების მთავარი მიზანია ამა თუ იმ ნაწარმოების სული გადასცეს სხვა ენაზე და არა ფორმის ადექვატური ექვივალენტი, რომლის მიღწევა ყოვლად შეუძლებელია“ (გამსახურდია, *op. cit.* 414).

არსებობს საინტერესო ტენდენცია – მთარგმნელი ხშირად მიმართავს მის მშობლიურ ენაში არსებულ ნათარგმნი ან ორიგინალური თხზულებებიდან ციტირებას და მოიხმობს მხოლოდ მისი ენისთვის დამახასიათებელ ხატოვან სიტყვათქმებს, ანდაზებს, იდიომებსა თუ გამოსახვის სხვა მხატვრულ საშუალებებს, რითაც იგი ნათარგმნ თხზულებას შეძლებისადაცარად მაქსიმალურად აახლოებს მშობლიურ ენასთან. ამის გათვალისწინებით კი ზოგჯერ შესაძლებელი ხდება, რომ მთარგმნელის წარმოშობა, მისი საცხოვრებელი გარემო და არეალი დადგინდეს.

ეფთვიმე ათონელის მიერ ქართულ ენაზე ნათარგმნი თეოფანე კესარია-ვაპადუკიელის სწავლანის ტექსტი წლების წინ გადმოვწერეთ ხელნაწერიდან (A 1101), შევისწავლეთ, დავურთეთ წინასიტყვაობა, ძველი ქართული სიტყვების განმარტებითი ლექსიკონი, მოვამზადეთ გამოსაცემად და გამოვაქვეყნეთ ნაკვეთებად ალავერდის ეპარქიის ურნალ მოყვასის 2003 წლის № 8-15-ში.

სწავლანი შედგება ხუთი თავისგან:

1. სულისა მიმართ თვესისა
2. თავისა თვესისა მიმართ
3. ლოცვად სინანულისად
4. შიშისათვეს ღმრთისა და
5. მცნებათა ღმრთისათვეს

თითოეული მათგანი დამოუკიდებელი თხზულებაა და თანაბრად შესაძლებელია, რომ წაეკითხათ როგორც ტაძარში, ასევე ტრაპეზის დროს, ანდაც კელიაში განმარტოებისას. ტექსტში საჭიროებისამებრ მოთხოვთ ამბები ბიბლიიდან – საუბარია ადამის ცდუნებაზე, აბელისა და კაენის შესახებ, ნოეს ღვაწლზე, სოდომელთა უკეთურებაზე, მართალი ლოთის შესახებ, იობის მოთმინებაზე, დავით მეფესალმუნის სინანულზე, სოლომონის სიბრძნეზე; მოხსენიებულნი არიან: ესაია,

ზაქარია, სამნი ყრმანი, აბაკუმი და სხვ. ფსალმუნიდან ხშირად პირდაპირ არის გადმოტანილი მუხლები. სახარებიდან გამოყენებულია იგავები – ათი ქალწულის, უძლები შვილის, კეთროვანთა განკურნების, პატიოსანი მარგალიტის მოპოვების და სხვ. ტექსტში მიმოფანტულია ნააზრევი სხვა საღვთისმეტყველო თხზულებებიდანაც. საკუთარი თავის და საკუთარი ვნებებისა თუ ცოდვების შეცნობის მიზნით გამოწვლილვით არის განხილული ადამიანთა ბოროტი საქმეები და მათი მაკურნებელი სათნოებები.

ტექსტის კითხვისას სრულიად ნათელი ხდება, თუ რატომ დაინტერესდა და გადმოილო ის მშობლიურ ენაზე ეფოვიმე ათონელმა. ეს არის თხზულება, რომელიც მიმართულია საკუთარი თავის შესწავლისკენ („შეიცან თავი შენი“), ერთადერთი გზისკენ სამყაროს შეცნობისა, მასთან თანაზიარებისა და უფლის წიაღში დაბრუნებისა. ამ ყველაფერს კი ჰქვია მსოფლიო მოქალაქეობა, სასუფევლის, ერთიანი სამყაროს მკვიდრობა, რაც მარადიული ძიებაა, რომ „შევიმოსოთ საჭირველი იგი ნათლისა“ და შევძლოთ „შესლვად ქალაქსა მას ცხორებისასა“. სულ ერთ ფრაზაშია ჩატეული სიკვდილ-სიცოცხლისა და ამსოფლიური თუ იმსოფლიური ცხოვრების ფილოსოფია: „განსუენებად სოფლისად ამის მცირე არს და უნდო, ხოლო სატანჯველნი იგი მის წილ განმზადებული მოსაგებელად ჩუენდა ფრიად მწარმ და ფიცხელ და დაუსრულებელ“ (თეოფანე, სწავლანი 10:13).

ასეთივე სისხარტით არის ნაჩვენები ცხოვრების არსი უფლის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანისა, რომელმაც ცოდვით დაცემის შედეგად დაკარგა მსგავსება: „ვნებად თავს იდევ ჩემთვს და ვიდრე სიკვდილამდინ ჩემთა დაპმსდაბლდი, რათა პატივი იგი ჩემი მსგავსებისა შენისად კუალად განმიახლო“. რადგანაც „საკვირველ არს ყოველივე სოფელი, არამედ ამის ყოვლისა უფლად დამადგინე“ და „გვირგვინოსან ჰყავ ბუნებად ჩემი წინაშე შენსა“.

ეფთვიმე ათონელის თარგმნის ხელოვნების უკეთ საჩვენებლად მოვიხმობთ სხვა ეპიზოდებსაც ტექსტიდან.

ერთ-ერთ თავში, რომელსაც ჰქვია „სულისა მიმართ თვისისა“, ავტორი საკუთარ სულს მკაცრად შეასსენს მის შემადგენელ ოთხ ნივთთაგან ერთს – მიწას: „ნუ ხარ მზუაობარ და შეურაცხისმყოფელ სხუათა, რამეთუ ბოროტ არს ესე და საძულვი და საძაგელ არს ჭეშმარიტად. და საკურველ არს დიდი, თუ ვითარ თიკაა თიკასა ზედა ზუაობნ და მიწად მიწასა ზედა მაღლოდ“ (*Ibid. 8:12*).

იქვე გამოხატავს გაკვირვებასა და სინანულს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ იცის – მისი ცოდვები ხილულია მიწიერი თუ ზეციური სამყაროსთვის – მაინც უძლურია და უძლები შვილის სიტყვებით სთხოვს უფალს შენდობას: „მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა.

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

ყოველივე ცათა სამკაული შემასმენს მე. საქმეთა ჩემთა ხედავს მზტ და მთოვარეცა და სიმრავლე ვარსკულავთად, უკორცონი იგი ძალნი ხედვენ ურჩულობათა ჩემთა და მწუხარე და მგლოვარე არიან ჩემ ზედა“ (*Ibid.* 9:13).

აქაც ისევე ზუსტადაა გამოხატული სრულიად სამყაროს ერთიანობისა და ჰარმონიულობის, ერთ ოჯახად თანაცხოვრების განცდა, როგორც ქართულ ხალხურ ლექსში – „მზე დედა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკულავები და და ძმაა ჩემი“.

ავტორი ხატოვნად გვიჩვენებს ადამიანის არამდგრად, მერყევ და მოკვდავ ბუნებას ერთ-ერთ თავში, რომლისთვისაც დაურქმევია „თავისა თვისისა მიმართ“:

კაცი – ღელვაგვემული იგი ნაფი, კაცი – ადრე დაჭნობადი იგი ყუავილი, კაცი – ადრე შემუსრვილი იგი ნერგი, კაცი – ადვილად წარსატევებელი მტური, ადვილად დასაწუველი იგი ნივთი, მრავალ მოურნე იგი და მრავლითა სალმობითა სავსე ბუნებად, რომელი იგი ვითარცა სიზმარსა შინა იქცევის ცხორებასა ამას შინა და ვინაოთვან განვიდეს ამიერ მრავალთა მათ ზრუნვათა მისთაგან, ვერლარას პპოებს, არამედ ოდენ საქმეთა მისთა მოსაგებელსა – გინათუ კეთილნი იყვნენ, გინათუ – ბოროტნი“. (*Ibid.* 10:11)

არადა, ბოლო ყველასი ერთია: „ლოდმან დამფაროს და დამმარხოს მიწად ესე მიწასა შინა და შემრთოს თიკად ესე თიკასა თანა“... ეს არის შემოძახება მოყვასისთვის, რომ სინანული მხოლოდ სიცოცხლეშია შესაძლებელი, სიცოცხლე კი შემოსაზღვრულია, თუმცა არავინ იცის სად არის ზღვარი. სიკვდილი ხომ „არა პრიდებს სიმდიდრესა, არა ძრწის მეფობისაგან, არა პრიცუენის პირისაგან, არა პატივ-სცემს მკეცთა, არა პრიდებს სიჭაბუკესა, ყოველთავე ზედა მოიწევის, ყოველთავე წარიტაცებს“. აი, რა საზარელი სიმძაფრით გვაფრთხილებს გარდაცვლილი ადამიანი: „ვითარცა დღეს თქუენ მე მხედავთ, ეგრეთვე ხვალე სხუანი თქუენ გხედვიდენ“. სწორედ ამიტომაა საჭირო სიკვდილის მარადიული ხსოვნა, რომ პირნათლად მივეახლოთ შემოქმედს. და მაინც, „რად არს კაცი? აჩრდილისა და სიზმრისა არარავთ უმჯობეს არს, არცა უზეშთაეს“ (*Ibid.* 10:11).

ხოლო ვისაც „კეთილად ეშინოდის მისგან [უფლისგან], და სიტყუათაგან მისთა, ღირს იქმნების იგი მის მიერ პატივსა“.

ვერ შევძელით გვერდი აგვევლო ისეთი „ხელიხელსაგოგმანები“ მხატვრულ-აზრობრივი ნიმუშებისთვის, როგორებიცაა: „უფლისა დაუძინებელი თვალი“, „ცუდად მზუაობრობა“, „გემოდ ძელისად“, „გემოდ სიკუდილისად“, „წამალი იგი სინანულისად“, „სათნოებათა მოგება“, „ღელვაგვემულთა ნაგთსაყუდელი“, „სასოებად ცხორებისად“, „ანდაც სიყვარულით, სინანულითა და მადლიერებით აღსავსე სიტყვები

– „უწყი მეუფისა ჩემისა სიტკბოქად“, „გუელი მზაკუვარი ღმრთებასა მიქადებდა“, „შევიმოსოთ ხატი იგი ზეცისაღ“, „სამოსელი პირველი არლარა მმოსია“, „არა არსისაგან დავიბადე, ხატად ღმრთისა ყოფად ღირს ვიქმენ“, „ცეცხლი იგი შინაგანისა გონებისად ფიცხლად და ძრიელად მოტყინარე არს [...] და განმლევს მე“, „ვითარცა პირველისა მის ადამისა მიერ მოვუედ, ეგრეთვე მეორისა ადამისა მიერ ცხოველ ვიქმენ“, „უმკურვალესადრე მივრბი მკურნლისა მიმართ და მის მიერ ცხორებასა მოველი“, „ვიცნობ დიდსა მას უფსკრულსა შენისა სახიერებისასა“, „ძილისა ამისგან მცონარებისა განფრთხობად არა მნებავს“, „იორდანესა შინა ალჟირცენ ცოდვანი სოფლისანი“, „ვიხილო პირი შენი“, „შიში ღმრთისა ყოვლისავე ბოროტისა გულისთქუმისა ალვრი არს“, „გულისგამა-ყავ ცეცხლისა იგი მდინარე“, „დიდ არს ზღუად და იგიცა საშასურებელად ჩემდა დაპბადე“, „არარად არს სხუად ჯოვოხეთს შესლვად, გარნა სასუფეველისაგან გამოვრდომად“, „მყავს მე შინაგანი გონებად ჩემი შემასმენელად“, „ვერცარა ბუნებასა ძალუც გნებად ჩემდა, არამედ საქმენი ჩემნი და ბოროტი ესე ნებად ჩემი მავნებს მე“, „ცხორებად ესე სხუად არარად არს, გარნა გამომცდელი საქმეთა ჩემთად და თითოეულისა გონებათა მამხილებელ“, „მეუფშ იგი დიდებისად, დამბადებელი დამდაბლდა ჩუენთვს... და კიდევ რამდენი...“

ის, რომ უძველესი ტექსტი შესაძლოა საუკუნეების შემდეგ „გაცოცხლდეს“, გამოეხმაუროს, შემზარავად მიესადაგოს სამყაროს მდგომარეობასა (პანდემიას, რომელსაც კოვიდ-19 ერქმევა თუ სხვა რამ – პირობითად „სნეულება“) და ამ დროში მცხოვრებ ადამიანთა სულიერ ყოფას, ქვემოთ მოყვანილი ციტატითაც დასტურდება:

იხილე, თუ რად იქმნის წამსა ერთსა – ყოველივე არარად გარდაიქცის. ერთმან ს ნ ე უ ლ ე ბ ა მ ა ნ ყოველივე წარწყმიდის... რაჟამს თანა წარუვალი იგი უამი სიკუდილისად მოიწიოს, ვერარად შემძლებელ არს შეწევნად: არცა მონაგები, არცა სიმდიდრე, არცა პატივი, არცა თუსნი, არცა მეგობარი, ვერცა სხუად რამებ შემძლებელ არს მის უ ა მ ი ს ა გ ა ნ კსნად კაცისა. (*Ibid.* 10:12)

თუმცალა, რადგან უსაზღვროა უფლის „სიბრძნისა სივრცე“, სინანულითა და სასოებით ყველაფერია შესაძლებელი: „მაქუს სახედ მეძავიცა იგი და მეზუერე და ავაზაკი, რომელთა ერთსა წამსა და ერთითა სიტყუითა სინანულისა მკურვალისათა სასუფეველი ცათად მოიპოვეს“ (*Ibid.* 10:14) და ბოლოს, ყოველი მკითხველისთვის ნაცნობი და სასიამოვნო განცდაა, როგორ მაგიურად კუმშავს სამყაროს და აახლოებს ერთმანეთთან ადამიანებს მთარგმნელი, თუკი ის „კარგი მთქმელის კარგი გამგონია“. სწორედ ასეთი ავტორ-მთარგმნელები არიან თეოფანე და ეფთვიმე. ამიტომაც, ალბათ, ყველა ენაში უნდა არსებობდეს რაღაც განსაკუთრებული სიტყვა, რომელიც გამოხატავდა

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

მადლიერებას, რომ ვიღაც სწორედ მის ენაზე დაწერილი ნაწარმოებით დაინტერესდა, სწორედ ის კონკრეტული მასალა შეარჩია, თარგმნა და ცნობილი გახადა პლანეტის სრულიად სხვადასხვა მხარეს მცხოვრები მკითხველებისთვის.

ბიბლიოგრაფია

სხეც A 1101 (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A ფონდის ხელნაწერი).

სხეც H 2853 (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდის ხელნაწერი).

გამსახურდია, კონსტანტინე, თბზულებანი, ტ. 8, თბილისი, 1985.

თეოფანე კესარია-კაპადუკიელი, სწავლანი, ტექსტი ხელნაწერიდან გადმოწერა, ლექსიკონი დაურთო და გამოსაცემად მოამზადა ნათია ნაცვლიშვილმა, ალავერდის ეპარქიის ჟურნალი მოყვასი, თბილისი, 2003, № 8-15.

კეკელიძე, კორნელი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, თბილისი, 1956.

ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი 1, თბილისი, 1984.